საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: რ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.07.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 056/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ა.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 09 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა რ. ს.-მა და მოითხოვა ადვოკატ ლ. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 4 მარტს მისი შვილი რ. ს. დააკავეს დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით (სსკ-ის მუხლი 376). იმ საღამოს, ნაცნობის რეკომენდაციით დაუკავშირდა ადვოკატ ლ. ა.-ს. ადვოკატმა განუმარტა, რომ იმავე დღეს, 4 მარტს ჩაერთვებოდა საქმეში და მომდევნო სხდომაზე რ. ს.-ს გაათავისუფლებდა. საადვოკატო მომსახურების ჰონორარი განისაზღვრა 3000 აშშ დოლარით, რომელიც ადვოკატისათვის უნდა გადაეცათ 10 დღის ვადაში. ადვოკატს იმავე საღამოს გადასცა 1000

აშშ დოლარი, რა დროსაც ადვოკატი დაპირდათ, რომ მეორე დღეს, 5 მარტს რ. ს.-ს გაათავისუფლებდა გირაოსა და საპროცესო შეთანხმების გარეშე.

1.3 5 მარტს ჩატარდა სასამართლო სხდომა, სადაც რ. ს.-ს აღკვეთი ღონისძიების სახით განესაზღვრა წინასწარი პატიმრობა. კითხვაზე, თუ რატომ არ გაათავისუფლა მოსამართლემ მისი შვილი, ადვოკატმა უპასუხა, რომ რ. ს.-მა დანაშაული არ აღიარა, რის გამოც შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, აქვე დაპირდა, რომ შემდეგ სხდომაზე პროცესიდან გაათავისუფლებდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ჰონორარის დანარჩენი ნაწილი, 1000 აშშ დოლარი და 500 აშშ დოლარი ადვოკატს გადასცა შეთანხმებულ 10 დღიან ვადაში.

1.5 ადვოკატის დაპირებები გაგრძელდა 6 თვე. ამ დროის განმავლობაში ადვოკატი სამჯერ იყო შესული კლიენტის სანახავად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. რადგან ჩანდა, რომ ადვოკატი დანაპირებს ვერ ასრულებდა, მან მოსთხოვა საადვოკატო ურთიერთობის დასრულება და აღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის 2500 აშშ დოლარის დაბრუნება. ამ დროს მოხდა შელაპარაკება, ადვოკატმა არც ჰონორარი დაუბრუნა და არც მისი შვილის სხდომაზე მივიდა, რის გამოც ოჯახს დასჭირდა ახალი ადვოკატის აყვანა. რ. ს.-ს მიუსაჯეს 1 წელი.

1.6 2020 წლის 31 ივლისს რ. ს.-მა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განცხადებაში დამატებით მიუთითა, რომ ადვოკატი ყოველი პროცესის წინ ჰპირდებოდა გათავისუფლებას, რაც არ შეასრულა. ბოლოს ადვოკატმა უთხრა ეფიქრა საპროცესო შეთანხმებაზე, რაც მისთვის არ იყო მისაღები.

1.7 2020 წლის 05 აგვისტოს სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ საქმეში სხვა ადვოკატის ჩართულობით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მის შვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

2. საჩივრის ავტორის მოწმე თ. ხ.

2.1 2020 წლის 05 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ თ. ხ.-მა განმარტა, რომ არის რ. ს.-ის ნათესავი. ის თან ახლდა რ. ს.-ს ადვოკატთან შეხვედრისას. ადვოკატმა უთხრათ, რომ რ. ს.-ს სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებდა. მოწმე განმარტავს, რომ რ. ს.-თან ერთად ადვოკატ ც. ჯ.-ის ოფისში იყო 3-4 ჯერ. ადვოკატი ეუბნებოდათ, რომ საქმეში არსებული მტკიცებულება იძლეოდა რ. ს.-ის გათავისუფლების შესაძლებლობას. ადვოკატმა მისცათ გარანტია.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ რ. ს.-თან შეთანხმებული არ იყოს საპროცესო პირობები, ისე გააჟღერა ეს ადვოკატმა სხდომაზე.

3. ადვოკატ ლ. ა.-ის პოზიცია:

3.1 ადვოკატი ლ. ა. 2020 წლის 09 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნავს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ადვოკატის განმარტებით, რ. ს. დააკავეს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. რ. ს.-ის საქმე ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმიდან, სადაც ბრალდებულებს ბრალი წაყენებული ჰქონდათ სსკ-ის 108 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

3.2 ადვოკატი განმარტავს, რომ საქმეში ჩართვის შემდეგ, რ. ს.-ის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფამდე, სრულად შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელიც იყო მოცულობითი და გასწია ის სამუშაოები, რაც როგორც ადვოკატს, ევალებოდა.

3.3 ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან და მის ოჯახთან შეთანხმებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე (რომლებიც დიდი ალბათობით საკმარისი იყო საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგომისათვის), ბრალდების მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებას საპროცესო შეთანხმების თაობაზე. როგორც კლიენტი, ასევე მისი ოჯახი, ფლობდა ინფორმაციას საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

3.4 ადვოკატის განმარტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბოლო ვიზიტისას, რ. ს.-მა გამოთქვა სურვილი მასთან გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება ერთ წელ რეალურ სასჯელზე. ადვოკატმა აღნიშნულის შესახებ აცნობა კლიენტის მამას, რ. ს.-ს და პროკურორს. პროკურორმა განუმარტა, რომ მათი მხარე ამ პირობაზე იყო თანახმა და შემდეგ პროცესზე, რომელიც დანიშნული იყო 2019 წლის 04 ივლისს, მიიტანდა ოქმს საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

3.5 ადვოკატი განმარტავს, რომ გამოცხადდა 2019 წლის 04 ივლისის სასამართლოს სხდომაზე, სადაც რ. ს.-მა განუცხადა, რომ არ უნდა შესულიყო სხდომაზე, რადგან რ. ს.-ს შეთანხმებული პირობით აღარ სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, აქვე აცნობა, რომ იპოვნეს სხვა ადვოკატი, ვინც ჰპირდებოდა პირობით სასჯელს. ადვოკატი დათანხმდა კლიენტის ნებას. 2019 წლის 04 ივლისის სხდომა ჩატარდა ადვოკატის დასწრების გარეშე, სადაც სასამართლომ განიხილა რ. ს.-ისათვის აღკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი.

3.6 ადვოკატი განმარტავს, რომ სხდომაზე მოსამართლემ მისი გამოუცხადებლობის მიზეზად დაასახელა აცილება ოჯახის მხრიდან და ასევე, აცილების შესახებ აზრი ჰკითხა ბრალდებულს. რ. ს.-მა განმარტა, რომ ფლობდა ინფორმაციას ადვოკატის აცილების თაობაზე და იზიარებდა ოჯახის პოზიციას, შესაბამისად, მას ბრალდებული დაცვის უფლების გარეშე არ დაუტოვებია. ამავე სხდომაზე პროკურორმა განაცხადა, რომ ის მზად იყო დაესრულებინათ საქმე საპროცესო შეთანხმებით და მისთვის გაუგებარი იყო, რატომ შეიცვალა ბრალდებულმა პოზიცია.

3.7 ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომები გაგრძელდა 2019 წლის 22 ოქტომბრამდე. რ. ს.-თან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება იმ პირობით, რისი მიღწევაც მან შეძლო ბრალდების მხარესთან.

3.8 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისათვის გარანტია გათავისუფლების შესახებ არასოდეს მიუცია.

3.9 საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 07 აგვისტოს სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ რ. ს.-მა პირველი შეხვედრისას მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი შვილი შემთხვევის ადგილას არ იყო. საქმეში არ იყო წარმოდგენილი კამერების ჩანაწერები და მოწმე - ვინც რ. ს.-ს დაადანაშაულებდა. ამ მოცემულობით მას გაუჩნდა პოზიცია, რომ მტკიცებულების არ არსებობის გამო შესაძლებელი იქნებოდა ბრალდებულის გამართლება, მაგრამ საქმის მასალების უნახავად, მხოლოდ ოჯახის ნაამბობით, სამოქმედო სტრატეგიას ვერ დასახავდა.

3.10 ადვოკატი განმარტავს, რომ ამ კლიენტთან გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება, თუმცა ამჟამად ვერ იპოვნა. ასევე, ყველა ხელშეკრულებაში აქვს მითითება, რომ კლიენტს გარანტიას საქმის შედეგზე არ აძლევს. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ინახულა რ. ს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. კლიენტმაც განუცხადა, რომ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილას.

3.11 ადვოკატი განმარტავს, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული 7-8 სასამართლო სხდომაზე. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქმეში იყო რ. ს.-ის საწინააღმდეგო მტკიცებულებები - მოწმეთა წერილობითი პოზიციები. რ. ს. პირადად შეხვდა ამ მოწმეებს და მათ განუმარტეს, რომ როდესაც სასამართლო დაკითხავდათ, რ. ს.-ის საწინააღმდეგო პოზიციას არ იტყოდნენ. ამ დროს მან უკვე უთხრა კლიენტს, რომ ან უნდა ებრძოლათ ან ბრალდების მხარესთან დაეწყოთ მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. ბრალდების მხარის პოზიცია იყო, რომ უნდა ეთანამშრომლა მათთან და მოითხოვდნენ 1 წლიან რეალურ სასჯელს, ჯარიმის გარეშე. მან ეს აცნობა რ. ს.-ს და შემდეგ რ. ს.-ს შეხვდა ამ საკითხზე სასაუბროდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მან კლიენტს გააცნო შეთავაზებული პირობები, უთხრა, რომ დალაპარაკებოდა ოჯახს, გადაეწყვიტა და შემდეგ დაკავშირებოდა.

3.12 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან შეთანხმებული ჰონორარი იყო 2500 ან 3000 აშშ დოლარი. მან შეთანხმებული მომსახურება ბოლომდე განახორციელა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ლ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლი.

3.2 რ. ს.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2020 წლის 09 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2019 წლის 4 მარტიდან 2019 წლის 04 ივლისამდე. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ლ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზია ადვოკატ ლ. ა.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა კვალიფიციურად არ დაიცვა კლიენტის ინტერესები, ადვოკატი შეპირდა რ. ს.-ის გათავისუფლებას, რაც არ განახორციელა.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

5.2.2 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.2.3 ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

5.3 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ასევე, ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

5.4 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა: (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან. სხვა მხრივ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია, არ შეიძლება შეფასების საგანი გახდეს, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (აპეკ, მუხლი 2). აღნიშნული კი გულისხმობს დაცვის სტრატეგიის დამოუკიდებლად განსაზღვრასაც, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან.

5.5 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ

კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის, როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

5.6 საჩივრის ავტორმა ადვოკატი ლ. ა. დაიქირავა მისი შვილის, რ. ს.-ის ინტერესების დასაცავად 2019 წლის 4 მარტს. ადვოკატს საქმეზე ორდერი გამოწერილი აქვს 2019 წლის 28 მარტს. ადვოკატი გაეცნო მრავალტომიან საქმეს; 13.04.19 წელს ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა ოქმი შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლის შესახებ; ადვოკატი არაერთხელ შეხვდა კლიენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მონაწილეობდა სასამართლოს სხდომებში. საქმის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ საქმეში იყო რ. ს.-ის საწინააღმდეგო მტკიცებულება, კერძოდ მოწმეთა ჩვენება, რაც სავარაუდოდ ადასტურებდა მის ბრალს. აღნიშნულის შესახებ ადვოკატი ესაუბრა კლიენტს და მის ოჯახს. ადვოკატი მიიჩნევდა, რომ კლიენტისათვის საუკეთესო გამოსავალი იყო საპროცესო შეთანხმება და ესაუბრა საქმის პროკურორს, რომელმაც შესთავაზა შეთანხმების კონკრეტული პირობა. აღნიშნული პირობა მისაღები არ იყო კლიენტის და მისი ოჯახისათვის, რის გამოც მათ შეწყვიტეს ადვოკატ ლ. ა.-თან ურთიერთობა და საქმეში ჩართეს სხვა ადვოკატი. 2019 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის თანახმად საქმეზე N1/1527-19, დამტკიცდა რ. ს.-თან დადებული საპროცესო შეთანხმება და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ლ. ა.-მა კლიენტი დაიცვა სრულად და კვალიფიციურად.

5.7 კოლეგია აღნიშნავს, რომ გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც დისციპლინური საქმისწარმოების ამ ეტაპისათვის, კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულება უნდა წარუდგინოს აღნიშნულის თაობაზე. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ გარანტია არ მიუცია კლიენტისათვის. ადვოკატი უარყოფს გარანტიის მიცემის ფაქტს, საჩივრის ავტორს, განმარტების გარდა არ წარმოუდგენია გარანტიის მიცემის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს დააკმაყოფილებდა. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ ლ. ა.-ის მიერ ეთიკის კოდექსის 8.3 და 8.5 მუხლებით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლით დადგენილი ეთიკური ვალდებულებების დარღვევა და მოცემულ ნაწილში, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა მის მიმართ.

5.8 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ის დატოვა დაცვის უფლების გარეშე, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

5.9 საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, რომ ადვოკატ ლ. ა.-ის მომსახურებაზე უარი თქვა მისმა დამქირავებელმა - რ. ს.-მა იმ საფუძვლით, რომ სხვა ადვოკატი შეპირდა საქმის უკეთესი შედეგით დასრულებას. ადვოკატს აცილება მისცა როგორც ოჯახის წევრმა, ასევე სასამართლოს სხდომაზე კლიენტმა - რ. ს.-მა. ადვოკატმა მიიღო გადაწყვეტილება და კლიენტის სურვილის შესაბამისად, პროცესზე მისული, არ შევიდა სასამართლოს სხდომაზე. კოლეგია მიიჩნევს, რომ რადგან ადვოკატს აცილება მისცა კლიენტმა, ადვოკატ ლ. ა.-ს რ. ს. დაცვის უფლების გარეშე არ დაუტოვებია.

5.10 საპროცესო კოლეგიამ, ასევე, იმსჯელა ადვოკატ ლ. ა.-ის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების თაობაზე:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

5.11 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #037/14).

5.12 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ

შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17).

5.13 მხარეთა პოზიციებით დგინდება, რომ ადვოკატს ჰონორარის სახით მიღებული აქვს 2500 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა. ადვოკატს კლიენტისათვის გაწეული აქვს მომსახურება სრულად. შესაბამისად, გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულის დარღვევა არ დგინდება.

5.14 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ლ. ა.-ის მიმართ, რადგან მისი ქმედება არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

5.15 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №056/20 ადვოკატ ლ. ა.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა დისციპლინური გადაცდომის არარსებობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/